სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება #642
(ოქმი #549

თბილისი 2026 წლის 12 ნოემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2026 წლის ბიუჯეტიდან დარჩენილი სახსრების განაწილების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,

1. სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის 2026 წლის ბიუჯეტში განსაზღვრული ბიუჯეტის 1% პროცენტის ფარგლებში სამეურვეო საბჭოს 10 წევრზე ერთჯერადად დამატებით გაიცეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 27/12/2019წ. N465 (ოქმი N416) გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს რეგლამენტის (მასში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით) 2.6. პუნქტის 2.6.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული 1 თვის ოდენობის შესაბამისი ჰონორარები.
2. სხვა ხარჯების ნაწილში საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში განსაზღვრული ბიუჯეტის 0,5%-ის ფარგლებში სამაურვეო საბჭოს აპარატის თანამშრომლებზე - აპარატის უფროსზე და უფროს სპეციალისტზე 2026 წლის ნოემბრის თვეში დამატებით გაიცეს 1 თვის ოდენობის შესაბამისი ანაზღაურება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული თანხების გადახდის შემდგომ სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარებისთვის, ასევე სხვა ხარჯების ნაწილში საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში განსაზღვრული ბიუჯეტის 1,5% პროცენტის ფარგლებში კალენდარული წლის ბოლოსთვის დარჩენილი ნაშთიდან - 407 314 ლარიდან - 207 314 ლარი მიემართოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ თანამშრომლების პრემირებაზე აჭარის ტელევიზიის და რადიოს მენეჯმენტის გადაწყვეტილების შესაბამისად ორგანიზაციის რეგულაციების დაცვით და 200 000 ლარი მიემართოს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თანამშრომლების პრემირებაზე მაუწყებლის მენეჯმენტის გადაწყვეტილების შესაბამისად ორგანიზაციის რეგულაციების დაცვით.
4. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით განსაზღვრული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის“ გადაცემული 207 314 ლარიდან სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ დირექტორზე დამატებით გაიცეს 1 თვის ოდენობის შესაბამისი ანაზღაურება.
5. დაევალოს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსების ბლოკს უზრუნველყოს გეგმების შესაბამისი კორექტირება და მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით განსაზღვრული სახსრების სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის" გადასაცემად.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

დავით ქართველიშვილი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

გრიგოლ მურღულია

თამილა დოლიძე

Tamila Dolidze 61001042033

Digitally signed by Tamila Dolidze
Date: 2026.11.12 15:02:18

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

სოსო სტურუა

Soso Sturua 61002008062

Digitally signed by Soso Sturua
Date: 2026.11.12 03:30:58

იზაბელა ოსიპოვა

გიორგი იაკობიშვილი

ლაშა ტუღუში